სადაზღვევო ინვესტიციების განვითარების პრობლემები და პრიორიტეტები



ნატალია კაკაშვილი

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი

სადაზღვევო ბაზრის განვითარების დამახასიათებელი ნიშანია კაპიტალის დაგროვების ზრდა, რომლებიც ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში სადაზღვევო კომპანიებს გარდაქმნიან დიდ ინვესტიციურ ინვესტიტუტებად. ამასთან, მნიშვნელოვან როლს თამაშობენ სადაზღვევო ბაზარზე.

სადაზღვევო ორგანიზაციები გვთავაზობენ სადაზღვევო მომსახურებას და ახორციელებენ ფულად საშუალებათა მიმოქცევას კაპიტალის ბაზარზე. მიღებული სადაზღვევო შენატანები არის ფულის დაგროვების ერთ-ერთი წყარო. მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში აკუმულირებული ფონდების სიდიდისა და საგადასახადო ბალანსის მიხედვით დაზღვევა წარმატებით უწევს კონკურენციას საბანკო ბიზნესს, მაგალითად, აშშ-ში 2005 წელს სადაზღვევო პრემიების დაგროვებამ 600 მლრდ. დოლარამდე შეადგინა (დაახლოებით ამდენივე ევროპაში).

საქართველოს სადაზღვევო ბაზარი კაპიტალიზაციის ნაკლებობას განიცდის, რასაც ფინანსური არამდგრადობისკენ და გადახდისუნარიან დამზღვევთა არასაკმარის რაოდენობამდე მივყავართ. ამასთან დაკავშირებით აუცილებელია საკანონმდებლო ზომების მიღება მზღვეველთა მინიმალური საწესდებო კაპიტალის გაზრდისათვის, რომელიც მთლიანად ფულად ფორმაშია ფორმირებული.

სადაზღვევო რეზერვები ეკონომიკაში დამზღვევისთვის ინვესტიციის მნიშვნელოვანი შიდა წყაროა. ბოლო წლებში სადაზღვევო რეზერვების საშუალებათა გადაადგილების ძირითად მიმართულებას ბანკის დეპოზიტები წარმოადგენს. ნიშანდობლივია, რომ რამდენადმე გაუმჯობესდა გრძელვადიანი დაბანდებების წილი, შესამჩნევია ზრდა ფასიანი ქაღალდების ოპერაციებით, აგრეთვე, აქტივების დაბანდება უძრავ ქონებაში. ამავე დროს, ინერტულ ხასიათს ატარებს სავალუტო ოპერაციები, სადაზღვევო სარეზერვო საშუალებათა დაბანდება რეალურ წარმოებაში. სადაზღვევო ორგანიზაციების ინვესტირების ძირითად ობიექტთა მაღალლიკვიდური და არა ნაკლები შემოსავლიანი აქტივები.

„ინვესტიციისა" და **„საინვესტიციო პოლიტიკის"** გაგებამ თავისი თვისებების განვითარების ახალი იმპულსი და აქტუალობა ჩვენს ქვეყანაში საბაზრო ურთიერთობების ფორმირების პროცესში მიიღო.

მზღვეველთა დროებით თავისუფალ საშუალებათა აუცილებელი ინვესტირება გამომდინარეობს დაზღვევის ბუნებიდან. მზღვეველები გარდაქმნიან პასიურ ფულად ნაკადს აქტიურ კაპიტალად და ბანკებთან ერთად ხდებიან მსხვილი საინვესტიციო კაპიტალის წყარო. ისინი დროის განსაზღვრულ პერიოდში განკარგავენ საშუალებათა მნიშვნელოვან რაოდენობას, რომლებიც შეიძლება მაქსიმალურად ეფექტურად იქნას გამოყენებული დამატებითი შემოსავლების მიღების მიზნით.

რამდენადაც სადაზღვევო ბიზნესი, როგორც ასეთი, არ ითვალისწინებს სადაზღვევო მომსახურების მოგების ნორმის დადგენას ფასების ფორმირებისას, სადაზღვევო კომპანიები იყენებენ შესაძლებლობებს მიიღონ დამატებითი საშუალებები და შემოსავლები დროებით თავისუფალი ფინანსური რესურსების ინვესტიციით.

ფინანსური წყაროების აკუმულირების უნარი და მათი წარმართვა ეკონომიკის განვითარებისთვის სადაზღვევო ორგანიზაციებს მსხვილ ინვესტორებად გარდაქმნის. მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში დაზღვევა ეკონომიკის სტრატეგიული სექტორია. ამგვარად, დამზღვევთა ინტერესების საერთო თანხა ევროპაში შეადგენს დაახლოებით მშპ-ს 28%-ს (რაც შეესაბამება დაახლოებით 2,2 ტრილიონ ევროს). 90-იანი წლების დასაწყისში ევროპის, იაპონიის და აშშ-ს სადაზღვევო კომპანიები წარმართავდნენ 40000 მილიარდი დოლარის დაბანდებულ საშუალებებს. ამ საშუალებათა 80%-ზე მეტი უზრუნველყოფს სიცოცხლის დაზღვევის ოპერაციებს, 50% კერძო, ან სახელმწიფო გადასახადის ვალდებულებებს, აქედან 12% ობლიგაციებში და 15% იპოთეკაში.

დროებით თავისუფალი სახსრების სადაზღვევო ინვესტირება უნდა რეგულირდებოდეს საკმაოდ მკაცრად სახელმწიფოს მხრიდან.

რეგულირება ასევე აუცილებელია მზღვეველთა უფლებების დასაცავად, რომელიც მოკლებულნი არიან კონტროლირების შესაძლებლობებს. რაც გულისხმობს რამდენად პროფესიონალურად უძღვება სადაზღვევო კომპანია მინდობილი სახსრების განაწილებას და ხიფათის ქვეშ ხომ არ ჩააყენებს სადაზღვევო შეთანხმების ვალდებულებებს.

ნორმატიული დოკუმენტების მიხედვით სადაზღვევო რეზერვების განაწილება უნდა ხდებოდეს **დივერსიფიკაციის, დაბრუნებადობის, ლიკვიდურობისა** და **შემოსავლიანობის** პირობებით, რაც მიღებულია მთელს მსოფლიო პრაქტიკაში.

ობიექტების მიხედვით ინვესტიციების დაბანდება კლასიფიცირდება შემდეგნაირად:

- **რეალური ინვესტიციები ან დაბანდებული საშუალებები მატერიალურ და არამატერიალურ (პატენტი, ლიცენზია) აქტივებში;**
- **ფინანსური ინევსტიციების** ან **საშუალებების დაბანდება** სხვადასხვა ფინანსურ ინსტრუმენტებში როგორიცაა: **ფასიანი ქაღალდები, დეპოზიტები, ბანკის მთლიანი დაბანდება.**

მთელ მსოფლიოში მიღებულია საინვესტიციო რეგულირების მიდგომა, რომელსაც „პიგეონ ჰოლე" ეწოდა. ეს სისტემა არ შეიცავს შეზღუდვებს და განსაზღვრავს, რომ კომპანიის ხელმძღვანელობამ მაინც დაადგინოს საინვესტიციო პოლიტიკა, სტანდარტები და პროცედურები, რომელსაც მიიღებდა სპეციალისტი პორტფელურ ინვესტიციებთან მიმართებაში.

სადაზღვევო კომპანიები დამოუკიდებლად ამუშავებენ საინვესტიციო პოლიტიკას მათ მიერ სადაზღვევო პორტფელის ჩამოყალიბების საფუძველზე. პირველ ყოვლისა, სახელმწიფო რეგულირება ეხება საინვესტიციო საქმიანობის პრინციპების შესრულებას, ეკონომიკურ ნორმატივებს და მოთხოვნებს. სადაზღვევო ორგანიზაციის აქტივების განაწილება ხორციელდება **მეცნიერული და პრაქტიკულად დაფუძნებული ლიკვიდურობის, დაბრუნებადობის, შემოსავლიანობისა და აქტივების დივერსიფიკაციის პრინციპებზე დაყრდნობით.**

აქტივების ლიკვიდურობაში იგულისხმება შესაძლებლობა სადაზღვევო კომპანიის აქტივების ოპერატიულად გარდაქმნაში ნაღდ ფულში და სხვა გადასახადის ლიკვიდურ საშუალებებში.

დაბრუნებადობა გულისხმობს საინვესტიციო საშუალებების მთლიანი მასის შესაძლო დაბრუნებას. ეს პრინციპი მზღვეველს აძლევს საშუალებას მინიმუმამდე დაიყვანოს რისკი.

რაც შეეხება შემოსავლიანობას, ის გულისხმობს აუცილებელი შემოსავლის მიღებას საინვესტიციო საშუალებებიდან. **ეს აძლევს მზღვეველს საშუალებას ჰქონდეს შემოსავალი სადაზღვევო ოპერაციებიდან და გაამყაროს თავისი პოზიცია კონკურენციის პირობებში. თუმცა, ერთის მხრივ, დიდი შემოსავლის მიღება დაკავშირებულია დიდ რისკთან, ამასთან, მუდმივად მაღალი რისკი უზრუნველყოფს მაღალ შემოსავალს.**

ეს პრინციპები, როგორც ინვესტიციების მიზანი, საკმაოდ წინააღმდეგობრივია, რამდენადაც უმეტესწილად სანდო აქტივები (როგორც წესი), ნაკლებშემოსავლიანია და პირიქით. სადაზღვევო კომპანიის ინვესტიციურ მიზნებს შორის კომპრომისი მიიღწევა ინვესტიციური პროტფელის დივერსიფიკაციის საშუალებით.

დივერსიფიკაცია — ეს ფართო წრის საინვესტიციო ობიექტის ოდენობაა და გააჩნია საინვესტიციო რისკის შემცირების შესაძლებლობა – მიიღონ იმაზე ნაკლები შემოსავალი, ვიდრე იყო გათვლილი. საინვესტიციო რისკი თავის თავში შეიცავს **არადივერსიფიცირებულ** და **დივერსიფიცირებულ** რისკებს.

არადივერსიფიცირებული არის რისკი, რომლის თავიდან აცილება შეუძლებელია. იგი დაკავშირებულია იმ ფაქტორთან, რომლებიც მოქმედებენ ყველა კომპანიებზე ერთდროულად (ინფლაცია, ომი, ფულად პოლიტიკაში ცვლილებები და ა.შ.).

დივერსიფიცირებული რისკი – ეს არის საინვესტიციო რისკის ის ნაწილი, რომლის თავიდან აცილება შესაძლებელია კარგად დივერსიფიცირებული პორტფელის ფორმირებისას. ის დაკავშირებულია უარყოფით მოვლენებთან ერთი ფირმის ფარგლებში, როცა ამ მოვლენის შედეგები შეიძლება კომპენსირებულ იქნას სასურველი მდგომარეობის ხარჯზე სხვა ფირმებში. ასე რომ, ყოველთვის არსებობს რისკი იმისა, რომ ნებისმიერ საინვესტიციო ოპერაციას შეუძლია მოგვიტანოს დანაკარგი. ამასთან, გარკვეული სახის ინვესტიციებს უფრო აქვს მიდრეკილება ამ დანაკარგისადმი, ვიდრე სხვა სახისას. ეს დანახარჯები ანაზღაურებულ უნდა იქნას მეტი შემოსავლის მიღების საშუალებით. **მოსალოდნელი შემოსავალი ტოლია ინვესტიციების ნორმას რისკის გარეშე დამატებული რისკის მოქმედების დრო**.

სადაზღვევო კომპანიების საინვესტიციო პოტენციალი განისაზღვრება მათი საკუთარი კაპიტალის მოცულობით და სადაზღვევო რეზერვების დაგროვებით. რაც უფრო დიდ ხანს მოქმედებს კომპანია ბაზარზე, მით უფრო დიდი წილი უჭირავს რეზერვებს ინვესტიციების სტრუქტურაში.

ინვესტიციურ მომსახურებაზე, რომელიც სადაზღვევო ბაზრის შემადგენელი ნაწილია, უარყოფით გავლენას ახდენს ქართული სადაზღვევო ბაზრის არასრულყოფილი კაპიტალიზაცია.

სადაზღვევო შეთანხმების შემადგენელი დაბანდება უნდა გახდეს წამქეზებელი მოტივი მოსახლეობის ფულადი საშუალებების მოსაზიდად სადაზღვევო სფეროში და ამის საფუძველზე განვითარდეს ეროვნული ეკონომიკა. შესაბამისად ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური პრობლემა თანამედროვე პირობებში სიცოცხლის დაზღვევის მდგომარეობა და პერსპექტივაა. უდავოა ხელისუფლების დაინტერესება ინვესტიციური რესურსებისადმი, აშკარაა მოსახლეობის მოთხოვნა საიმედო ფინანსური საფუძვლების ჩამოყალიბებაში. მაგრამ, აშკარად არასაკმარისია

მოქმედებები სიცოცხლის გრძელვადიანი დაზღვევის განვითარების სტიმულირებისათვის.

ამდენად, მიზანშეწონილია სადაზღვევო ბაზრის განვითარების შემდეგი სტრატეგიის რეალიზაცია:

- **ოპერაციების გამიჯვნა სიცოცხლის დაზღვევის და სხვა დაზღვევის სახეების მიხედვით;**
- **სადაზღვევო ორგანიზაციების მინიმალური საწესდებო კაპიტალის სიდიდის გაზრდა და სახელმწიფოს მიერ სადაზღვევო ბაზრის კაპიტალიზაციის სტიმულირების რეალიზაცია;**
- **სავალდებულო სადაზღვევო სისტემის მოწესრიგება;**
- **სტიმულირების სისტემის შექმნა გრძელვადიანი დაზღვევის, ასევე საპენსიო დაზღვევის განვითარებისათვის;**
- **რეზერვების განვითარების მექანიზმის ფორმირება ინვესტიციურ ინსტიტუტებში, რომელიც აკმაყოფილებს მზღვეველების შემოსავლიანობის, სანდოობის და ლიკვიდურობის მოთხოვნილობებს.**

ამ მიმართულებების ფარგლებში ვთვლით, რომ აუცილებელია შეიქმნას ქვეყანაში სტაბილური საიმედო **საფონდო** და **საკრედიტო** ბაზრები.

სადაზღვევო ოპერაციების გადასახადებით დაბეგვრის რეჟიმი სიცოცხლის გრძელვადიან დაზღვევაში ეს არის სტიმული საწარმოებისა და მოქალაქეებისათვის, რომელმაც უნდა წააქეზონ ისინი რისკებისგან ეფექტური დაცვის შექმნისაკენ.

ამასთან ასეთი რეჟიმი შეიძლება შემოღებულ იქნას მხოლოდ ქვეყნის ფინანსური სისტემისადმი ნდობის აღდგენის, სრულყოფილი ფასიანი ქაღალდების და საფონდო ბაზრის განვითარების შემდეგ, ამისათვის აუცილებელია;

1) დაზღვევის გრძელვადიანი დაზღვევისადმი მოსახლეობის ნდობის აღდგენისთვის ზომების მიღება;

2) სადაზღვევო მომსახურებისადმი მოთხოვნის სტიმულირება.

ორგანიზაციის ეფექტურობა საინვესტიციო ოპერაციებში შეიძლება შეფასდეს მაჩვენებელთა სისტემით. განვიხილოთ საერთაშორისო პროექტში დანერგილი ეფექტიანობის შეფასების ხერხი, რომელიც ემხრობა შემდეგ პრინციპებს:

1) საინვესტიციო კაპიტალის ეფექტურობა ფასდება ფულადი შემოსავლების გზით, რომელიც მიიღება საინვესტიციო პროექტის განხორციელებისას. პროექტი ითვლება ეფექტურად თუ გადინებული თანხები დაბრუნდება და ამავე დროს ინვესტორები, რომლებმაც კაპიტალი დააბანდეს, მიიღებენ შემოსავალს;

2) საინვესტიციო კაპიტალი მოზიდულია საანგარიშო წლის დასაწყისში;

3) კაპიტალდაბანდებისა და ფულადი თანხების დისკონტირება ხდება სხვადასხვა გზით (გააჩნია რა სახის პროექტზეა საუბარი). დისკონტირების თანხის განსაზღვრამდე ყურადღება ექცევა ინვესტიციის სტრუქტურას.

შეფასების ყველა მეთოდი ასე გამოითვლება: რაიმე პროექტის რეალიზაციისას გამავალი ინვესტიციები უზრუნველყოფენ ფულად შემოსავლებს. ინვესტიციები აღიარებულია ეფექტურად, თუ შემოსავალი საკმარისია:

- **კაპიტალდაბანდებისას დახარჯული თანხების დაბრუნებისათვის;**
- **საჭირო თანხების გასტუმრებისათვის.**

კაპიტალდაბანდებების ეფექტურობის ყველაზე კარგი მაჩვენებლებია შემოსავალის სადისკონტო ვადა, საინვესტიციო პროექტის მნიშვნელობა და შემოსავლიანობის ნორმა.

ეს მაჩვენებლები, ისევე როგორც მათთან შესატყვისი მეთოდები, გამოიყენება ორნაირად:

1) **განისაზღვროს ურთიერთგამომრიცხავი პროექტების ეფექტურობა** (შედარებითი ეფექტურობა);

2) **გამოირიცხოს დამოუკიდებელი პროექტის ეფექტურობა** (აბსოლუტური ეფექტურობა).

იმ მიზნით, რომ არ მოხდეს უკანონო ქმედება საინვესტიციო კომპანიის მიერ, სადაზღვევო კომპანიას ესაჭიროება შიდა საკონტროლო სისტემა, რაც გულისხმობს პასუხისმგებლობის გადანაწილებას, ლიდერებისთვის უფლების მინიჭებას, გამოცდილებისამებრ დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღებისას.

სადაზღვევო კომპანიისათვის აუცილებელია საინვესტიციო საქმიანობის განხორციელება, რომ შეინარჩუნოს ფინანსური მდგომარეობა და იყოს კონკურენტუნარიანი. როგორც წესი, სადაზღვევო კომპანიამ უნდა შეიმუშაოს საინვესტიციო პოლიტიკა, განახორციელოს საინვესტიციო საქმიანობის ორგანიზება, შეადგინოს საქმიანობის აღრიცხვა.

სადაზღვევო კომპანიები აყალიბებენ განსხვავებულ საინვესტიციო პორტფელს. ამასთან, ისინი იყენებენ რისკის შეფასების მეთოდებს. შესაბამისად სადაზღვევო ორგანიზაციის საინვესტიციო პოლიტიკა განისაზღვრება იმ სადაზღვევო ოპერაციებით, რასაც ის ატარებს. ჩატარებულ სადაზღვევო ოპერაციებზე მოქმედი ფაქტორებია;

ა) **შიდა ფაქტორები** — სადაზღვევო პორტფელის სტრუქტურა და დაზღვევის ვადა, აკუმულირებული ფულადი სახსრების რაოდენობა, საინვესტიციო შემოსავლებზე მოთხოვნა, პროფესიული კადრების რაოდენობა;

ბ) **გარე ფაქტორები** — განვითარებული ფინანსური ბაზრისა და საინვესტიციო კლიმატის არსებობა ქვეყანაში, სახელმწიფოებრივი რეგულირების განვითარებული სისტემა.

ორგანიზაციებს, რომლებიც ეწევიან სარისკო სახის სადაზღვევო საქმიანობას, აკუმულირებული თანხების რაოდენობა უფრო ნაკლები აქვთ, ვიდრე, იმ კომპანიებს, სადაც სიცოცხლის დაზღვევა პრიორიტეტულია თანხების დაგროვების მიზნით.

ამრიგად, სადაზღვევო პროექტები იცვლება იმის მიხედვით, თუ რა პრიორიტეტულ ოპერაციებს ახორციელებს სადაზღვევო კომპანია. განხილული საკითხები ადასტურებს სადაზღვევო კომპანიებში

საინვესტიციო საქმიანობის აუცილებლობას.

ამდენად, სადაზღვევო კომპანიის საინვესტიციო საქმიანობა პირდაპირ არ არის დაკავშირებული დაზღვევასთან. ამ შემთხვევაში ინვესტირების წყაროს წარმოადგენს დამზღვევების შენატანები. მზღვეველის განკარგულებაში გარკვეული პერიოდის განმავლობაში მყოფი სადაზღვევო პრემიები დადგენილი წესის მიხედვით ინვესტირდება შემოსავლიან აქტივებში და მოაქვთ სადაზღვევო კომპანიისთვის საინვესტიციო შემოსავალი. საინვესტიციო შემოსავლების თვალსაზრისით, სიცოცხლის გრძელვადიანი დაზღვევის რეზერვები დიდი მიმზიდველობით გამოირჩევა, რადგან იმყოფება მზღვეველის განკარგულებაში ხანგრძლივი დროის განმავლობაში.

როგორც ვთქვით, საინვესტიციო შემოსავლები შემოსავლების მნიშვნელოვან წყაროა კომპანიისთვის. ამ სახით მიღებული შემოსავლებით მზღვეველი გასცემს ბონუსებს თავისი კლიენტებისთვის. ქვეყნებში, სადაც არსებობს განვითარებული საფონდო ბაზარი, საინვესტიციო შემოსავალი ხელს უწყობს სადაზღვევო ოპერაციებიდან დაზღვევის ზოგიერთ სახეობაში მიღებული უარყოფითი შედეგების გადაფარვას:

სადაზღვევო კომპანიებისთვის ყველაზე საუკეთესო რეკლამა ვალდებულებების დროული და სრულყოფილი შესრულებაა. სადაზღვევო ინდუსტრიამ ჩამოყალიბების ეტაპი უკვე გაიარა და განვითარების ახალ ფაზაში შევიდა. მომავალში სადაზღვევო კომპანიებმა მნიშვნელოვანი წვლილი უნდა შეიტანონ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში.

სადაზღვევო კომპანიის ინვესტიციური პოტენციალი განისაზღვრება მათი საკუთარი კაპიტალის მოცულობით და სადაზღვევო რეზერვების დაგროვებით, რაც უფრო დიდი ხანს მოქმედებს კომპანია ბაზარზე, მით უფრო დიდი წილი უჭირავს რეზერვებს ინვესტიციების სტრუქტურებში.

საინვესტიციო საქმიანობის სფეროში სახელმწიფო რეგულირება უნდა ეყრდნობოდეს შემდეგ პრინციპებს:

- **მზღვეველთა ეკონომიკური სტიმულირება;**
- **მზღვეველთა ეკონომიკური დამოუკიდებლობა საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღებაში;**
- **ცვლილებებზე მზღვეველების მხრიდან ოპერატიული რეგულირება.**

დიდი ყურადღება უნდა მიექცეს საინვესტიციო სტრატეგიას სადაზღვევო კომპანიებში, რაც გულისხმობს ისეთი საინვესტიციო პორტფელის ფორმირებას, რომელიც შესაძლებელს გახდის უმცირესი დანახარჯით უზრუნველყოს სრული შეხამება ფულადი საშუალებების ნაკადის საინვესტიციო საქმიანობიდან მზღვეველების დანახარჯებთან.

საინვესტიციო ნაკადი უნდა განხორციელდეს, როგორც:

- **შემოდინება** — მიღებული აქტივების განთავსებით (ძირითადი ფონდების გაყიდვა, ფასიანი ქაღალდების გაყიდვა, პროცენტების მიღება, დივიდენდები და ა.შ.);
- **გადინება** — დანახარჯები სადაზღვევო კომპანიების აქტივების განთავსებისას, (ძირითად ფონდებში დაბანდება, ფასიანი ქაღალდების ყიდვა, სესხის გაცემა და ა.შ.).

საინვესტიციო პოლიტიკის ერთ-ერთი პრობლემაა აქტივების შერჩევა, რომელიც შეესატყვისება ვალდებულებებს თავისი მოქმედების ვადით.

სადაზღვევო კომპანიისათვის აუცილებელია საინვესტიციო საქმიანობის განხორციელება, რომ შეინარჩუნოს ფინანსური მდგრადობა და იყოს კონკურენტუნარიანი, რისთვისაც უნდა შეიმუშაოს საინვესტიციო პოლიტიკა.

ANNOTATION

PROBLEMS AND PRIORITIES REGARDING DEVELOPMENT OF INSURANCE INVESTMENTS

NATALIA KAKASHVILI,
Doctor of Economics,Professor, Associated Professor at TSU

State regulation of investing activities should be based on the following principles:

- Economic stimulation of insurants;
- Economic independence of insurants in decision making regarding investments;
- Insurants' prompt respond to changes.

Focus should be made on investing strategies in insurance companies, which means elaboration of such investing portfolio that would use the least expenses to guarantee full compatibility between the investment funds flow and the expenses incurred by insurants.

Investment flows should be realized in the following forms:

- Inflows – through placement of received assets (selling the main funds, selling securities, receiving interest, dividends etc.);
- Outflow – expenses incurred while placement of insurance companies' securities, investment in main funds, purchasing securities, issuing loans etc.

One of the problems of investing policy is selecting the assets whose term of validity would be in line with the duties.

Insurance companies should necessarily carry out investing activities in order to maintain financial stability and compatibility, which can be realized through elaboration of investing policy.